

ქალაქ ქუთაისში, ზ.ჭავჭავაძის ქუჩა N30 საცხოვრებელი სახლის
N54 ბინაზე, მოქალაქე ლამარა ჩუბინიძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ზ.ჭავჭავაძის ქუჩა N30 საცხოვრებელი სახლის N54 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ლამარა ჩუბინიძის წარმომადგენლის მიხედვით ხამაშურიძის განცხადებები /2013 წლის 17.09 Nბ-9503, 11.10 Nბ-10483/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ზ.ჭავჭავაძის ქუჩა N30 საცხოვრებელი სახლის N54 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის მოქალაქე ლამარა ჩუბინიძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ზ.ჭავჭავაძის ქუჩა N30 საცხოვრებელი სახლის N54 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ლამარა ჩუბინიძეს /პირადი N60001081415/.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, ზ.ჭავჭავაძის ქუჩა N30 საცხოვრებელი სახლის N54 ბინაზე საერთო ფართობი 60,38 კვ.მ. /საცხოვრებელი ფართობი 34,34 კვ.მ, დამხმარე ფართობი 26,04 კვ.მ./ მოქალაქე ლამარა ჩუბინიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

კ.ლომიძე